

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 22

ქ. ახმეტა

22 აგვისტო , 2017 წელი

თავმჯდომარეობდა:

თამარ ყვინიშვილი ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

ახმეტის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრები:

თ. წითელაური, გ. ქიტესაშვილი,
რ. ბადაკაშვილი, ზ. გარსევანიძე, ა. შათირიშვილი,
გ. უძილაური, თ. ბორჩაშვილი, მ. ალხანაშვილი,
ბ. ჭიჭიკლიშვილი, გ. ჯუგაშვილი, ზ. ქინქლაძე,
ა. ნახუცრიშვილი, თ. ბოდაველი, ც. გრძელივანიშვილი,
გ. მაისურაძე, ა. მაილაშვილი.

სხდომა გაიხსნა 12⁰⁰საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ თამარ ყვინიშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის № 2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

2. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის 3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი - ნათელა ექვთიმიშვილი/

3. შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებულ არასმთავრობო ორგანიზაცია „ჰეკს/ეპერი“-საგან სამხრეთ კავკასიის ოფისის პროექტის „მოლი კახეთში“ ფარგლებში გრანტის მიღებაზე წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მიღება, რასაც დამსწრე ყველა წევრმა მხარი დაუჭირა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის № 2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

მომხსენებელმა განმარტა, რომ საკითხი ეხება ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილების პროექტით შემოსავლებისა და ხარჯვით ნაწილში ზრდას. გათვალისწინებულია 18,0 ათ. ლარით (შემოსავლები ბანკის პროცენტიდან). დანარჩენი ცვლილებები ეხება ბიუჯეტის არსებული პარამეტრების შიდა ცვლილებებს.

მუნიციპალიტეტის გამგეობა

(ზრდა +)

- წარმომადგენლობითი ხარჯი +2,0 ათ. ლარი.

ა(ა)იპ კულტურის ცენტრი

(ზრდა +)

- სუბსიდია (ღონისძიებისათვის) +1,5 ათ. ლარი.

ა(ა)იპ მამიაურის სახ. შემეცნებითი სკოლა

(ზრდა +)

- სუბსიდია (ღონისძიებისათვის) +1,5 ათ. ლარი.

ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი“

(ზრდა +)

- სუბსიდია +7,0 ათ. ლარი.

ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა

(ზრდა +)

- სუბსიდია +3,0 ათ. ლარი

ა(ა)იპ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სკოლა

(ზრდა +)

- სუბსიდია +3,0 ათ. ლარი

ა(ა)იპ სოფლის სასმელი წყლის მოვლა-პატრონობის ცენტრი

(ზრდა +)

- სუბსიდია +13,0 ათ. ლარი

(კლება-)

- კაპიტალური ხარჯი -13,0 ათ. ლარი

სოციალური დაცვა

ავადმყოფთა მკურნალობის ხარჯები

(ზრდა +)

- სუბსიდია +23,0 ათ. ლარი

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება

(კლება-)

- სუბსიდია -10,0 ათ. ლარი

ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულ პირთა სოციალური დახმარება

- სხვა ხარჯები -13,0 ათ. ლარი

საკითხის შესახებ შეკითხვები არ ყოფილა.

მომხრე - 15

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № 22 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N 2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის 3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი - თამარ ქარუმაშვილი/

მომხსენებელმა განმარტა, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა აუცილებელ ღონისძიებად მიიჩნევს ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, რათა გაზარდოს ეკონომიკურად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონალური მკურნალობის, ოპერაციისა და ლაბორატორიული გამოკვლევების, ასევე ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო ვარჯიშებისთვის გამოყოფილი თანხა.

ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის #3 დადგენილებით დამტკიცებულ დანართ #2-ში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

იმ ოჯახებისთვის გამოყოფილი თანხა, რომელთაც ხანძრის ან სტიქიის გამო დაუზიანდათ საცხოვრებელი სახლი, 20 000-დან შემცირდეს 13 000 ლარით და განისაზღვროს 7 000 ლარით. აღნიშნული 13 000 ლარი დაემატოს ეკონომიკურად გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონალური მკურნალობის, ოპერაციისა და ლაბორატორიული გამოკვლევების, ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო ვარჯიშების დაფინანსებისათვის გამოყოფილ 195 000 ლარს.

ასევე, განსაკუთრებულ შემთხვევებში „სოციალური პაკეტით განსაზღვრული დახმარების მსურველ პირთა განცხადებების განმხილველი კომისიის“ დასკვნის საფუძველზე გამოყოფილი სოციალური

დახმარება იმ პირების მიმართ, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სამიზნე ჯგუფის მოთხოვნებს ან კონკრეტული მიზეზების გამო ამ ეტაპზე შეუძლებელია დახმარება სოციალური პროგრამის სხვა მუხლებიდან მოქალაქეთათვის გამოყოფილი 32 000 ლარი შემცირდეს 10 000 ლარით და განისაზღვროს 22 000 ლარით. აღნიშნული 10 000 ლარი კი დაემატოს ასევე ეკონომიურად გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონალური მკურნალობის, ოპერაციისა და ლაბორატორიული გამოკვლევების, ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო ვარჯიშების დაფინანსებისათვის გამოყოფილ 195 000 ლარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურად გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონალური მკურნალობის, ოპერაციისა და ლაბორატორიული გამოკვლევების, ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო ვარჯიშების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხა 195 000 ლარი გაიზარდოს 23 000 ლარით და განისაზღვროს 218.000 ლარით.

ნორმატიული აქტის პროექტის ფინანსური დასაბუთება: ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გაღებას.

საკითხის შესახებ შეკითხვები არ ყოფილა.

დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საკითხის მიღებას.

„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № 23- „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის 3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს: შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰეკს/ეპერი“-საგან სამხრეთ კავკასიის ოფისის პროექტის „მოლი კახეთში“ ფარგლებში გრანტის მიღებაზე წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

მომხსენებელმა განმარტა, რომ საკითხი ეხება შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰეკს/ეპერი“-საგან სამხრეთ კავკასიის ოფისის პროექტის „მოლი კახეთში“ ფარგლებში ახმეტის მუნიციპალიტეტის სახელით მიიღოს გრანტი პროექტის მთლიანი ღირებულების (პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 24 521 ლარი) 54%-ს ოდენობით (ცამეტიათას ას ორმოცდათი 13 150 ლარი), მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით დააფინანსოს პროექტის ღირებულების 46% (თერთმეტიათას სამას სამოცდათერთმეტი 11371 ლარი) და გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება;

მომხსენებელმა წარმოადგინა ბიუროს სხდომაზე მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

საკითხის შესახებ შენიშვნები არ ყოფილა.

დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საკითხის მიღებას.

„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 48 - შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებულ არასმთავრობო ორგანიზაცია „ჰეკს/ეპერი“-საგან სამხრეთ კავკასიის ოფისის პროექტის „მოლი კახეთში“ ფარგლებში გრანტის მიღებაზე წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ

საკრებულოს წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხვა წინადადება არ დაუყენებიათ.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 13⁰⁰ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



თამარ ყვინიშვილი